# დროება

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 220 | სამშაბათი, 6 ოქტომბერი 1909 წ. | № 220

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ ვაძლევთ. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ✦——

——✦ დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ


ბარბარე იოსების ასული ვოლსკისა, ვლადიმერ იოსების ძე ვოლსკი და ივანე ივანეს ძე ზურაბიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—ძმისა, ხოლო უკანასკნელნი—მამიდაშვილის

## გრიგოლ იოსების ძის ვოლსკისას.

პანაშვიდები დღეს და ხვალ (5 და 6 ოქტომბ.), საღამოს 6 საათზე. გამოსვენება ბინიდან (ტეხნიჩესკი ქ., № 10 პასტერის ინსტიტუტის მახლობლად), ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ხოლო იქიდან, წირვა-პანაშვიდის შემდეგ, კუკიის წმ. ნინოს მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე. (1—1)


წარმოდგენა № 4. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 4.

**ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს, 1909 წელს**

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა გ. ზაპოლსკაიასი.

**ფარისეველი** ტრაგი-ფარსი 3 მოქმ. თარ. გ. ამაშიძისა. | **დამბაჩა და რევოლვერი** ვოდ. 1 მოქმედ. კ. ნასიძისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი. ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. ურუშაძე, ი. ზარდალიშვილი

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „აი გიდი მეგობრებო", „ღალატი".

მორიგი რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია**

ქართული წარ- **ავლაბრის თეატრი** მოდგენა № 3.

**კვირას, 11 ოქტომბერს 1909 წ.**

ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

## სამშობლო

ისტორიული დრამა 5 მოქმ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი აფხაზიშვილი, რჩეულოვი, კავთელი; ბ-ნნი გელიკურაშვილი, ჯიბლაძე, სალაყაია, დავიდოვი, გომელაური, ქიზიყელი, მესხიძე, მაისურაძე, მირველოვი და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ ადგილების ფასები 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**

უმორჩილესადა ვთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვეხმაროს წესიერების დაცვაში, სხვის ადგილზე ნურვინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შემოიყვანენ და თეატრში სტვენა და ყურ-ზაური აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრიდან გაყვანილი იქნება. რეჟისორი **ვ. ურუშაძე.** (1—2) დირექცია **ამო-ხარაზიანი.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.**

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ, 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ,, ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—11 ს.

**სოზოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ა. ე.** დედაკ, საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ, ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—4)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—172)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. № 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს სადამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. ბლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდ-რონის ქუჩა, სახლი N 14, ... (0—586—28)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის** ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—23)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა** მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ხომრებისაგან. (100—ზალ.—21)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი** ხუთ ოქტომბრიდან განაახლებს ავადმყოფების მიღებას. (0—კვ.—75)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—21)

**ექიმი ლ. ნ. ოჰანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—29)

**ქუთაისში** ექიმმა გაბრიელ იოსების ძე გოკიელოვმა, საზღვარგარეთ წასვლის გამო, დროებით შესწყვიტა ავადმყოფების მიღება. (3—3)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის მეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—15)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში იღებს მინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—16)

**ექიმი** კბილისა **ს. ვაშაყმაძე** აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—6.—23)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის სუჩა, სკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—6.—74.

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—81)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რაჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—11)

**ექიმი ჩარექოვი** ქ. ქუთაისში. **სპეციალისტი.** იღებს განსაკუთრებით **სიფილისით,** ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულაძის მესაზვევი იოსელიანის სახლში. (25—ფ.—24)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი გ. მაგაკიანი. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—36)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რიდელი**—ბავშ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ.და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.

**ნოვიცკი**—ბებ., ქალ., ყოველ დღე 1—2

**ახვლედიანი**— შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ ს.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ. გარდა 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურ. $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის შრატით. (00—6.—101)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ნაფიცი ვექილი**

## სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

**ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში** (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო „**ლონდონის**" ახლოს). (25—6.—23)

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელთა

გლეხთა ამხანაგობა

„კახეთი"

Товарищество крестьянских ... виноградовладельцевъ

„Кахетія"

... ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა სავაჭროში ... მაღაზიებში და სასმელების დუქნებში.

... ბოთლს ზევით ტფილისში.

По такой этикетѣ продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

... бут. доставляется нашимъ водовозомъ въ Тифлисѣ.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. № 7. Михаилу Никол. Кодалаеву. (100—6.—3)

**ქართველ ქალთა ამხანაგობის**

## სამკერვალოში

მიიღებენ კაბებს ქალებისას და ბავშვებისას შესაკერად ძალიან იაფად, ყველასათვის ხელ მისაწვდენ ფასად.

ადრესი: ვერა, გაბაანთ ქუჩა, № 3, ზარი მესამე. დილიდან 3 საათამდე. (5—უ.—2)

## იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს.** (50—6.—34)

პირველ ოქტომბერს, მცხეთობა დღეს, ტფილისიდან მცხეთაში მგზავრობის დროს

## დაიკარგა

**უბის პორტმანე.** შიგ ფული არა ყოფილა. იყო მხოლოდ პასპორტი და სხვა და სხვა კვიტანცია. მპოვნელისათვის ესენი გამოუსადეგარია. ვთხოვ მპოვნელს, მოიტანოს დაკარგული პორტმანე „დროების" რედაქციაში, რისთვისაც მიიღებს ჯილდოს. (3—3)


# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

4-5 ოქტომბერი

## ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** მეჯლისი მუშაობას 17 ოქტომბერს დაიწყებს.

**თავრიზი.** დღეს 4 ოქტომბერს, თავრიზი მიატოვა რუსის ჯარის ერთმა ნაწილმა—გრენადერთა ერთმა ბატარეიამ და მსროლელთა ბატალიონთა ორმა როტამ. რაზმს უფროსობს პოდპოლკოვნიკი მამაცევი.

**თეირანი.** გათავდა რამაზანი. დღეს, 4 ოქტომბერს გაიმართა სელიამი. ქალაქი გაიჩირაღდნეს. გაისროლეს ზარბაზნები.

## საზღვარ-გარედ.

**მადრიდი.** ქალაქის თვითმართველობის საბჭოს 2 ოქტომბრის სხდომა ინცინდენტით გათავდა. საბჭოს ზოგიერთმა წევრებმა—რესპუბლიკანელებმა და სოციალისტებმა—დემონსტრატიულად მიატოვეს სხდომა. პარლამენტის გახსნამ უინცენდენტოდ ჩაიარა. დეპუტატთა პალატის სხდომაზე წაიკითხეს დეკრეტი პარლამენტის გახსნის შესახებ. დეპუტატები ტაშით მიეგებნენ დეკრეტის კითხვას. დეპუტატთა პალატის პრეზიდენტად აირჩიეს დატო. დატომ სიტყვა წარმოსთქვა. ორატორმა, სხვათა შორის, მადლობა გადაუხადა ესპანიის იმ ჯარს, რომელიც მაროკოში მოქმედებს და გენერალ მარინას. რესპუბლიკანელებმა თავჯდომარეს სიტყვა შეაწყვეტინეს, „შეაქეთ ესპანიის ჯარი და არა გენერალი მარინაო". კონსერვატორებმა პროტესტი განაცხადეს რესპუბლიკანელების სიტყვების წინააღმდეგ. შემდეგ დეპუტატთა პალატამ ზეზე ადგომით პატივი საცა რიფის ოლქში დაღუპულ აფიცრებისა და სალდათების ხსოვნას.

**ლონდონი.** ლონდონის სავაჭრო პალატის საბჭომ დაადგინა ამ წლის დეკემბერში დაათვალიერონ რუსეთი ლონდონის სავაჭრო პალატის საბჭო მიიწვიეს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა და რუსეთ-ინგლისის სავაჭრო პალატამ.

**ნიუ-იორკი.** კუკი მიიწვიეს ქალაქის თვითმართველობაში. ქალაქის თავმა კუკს მიართვა ადრესი. ქალაქმა კუკი საპატიო მოქალაქედ აირჩია.

**პარიზი.** „მატენს" მელილიდან დეპეშით ატყობინებენ: ქალაქში დაჟინებით ლაპარაკობენ, მაროკოს სულთანმა მულაი-გაფიდმა გერმანელებს უფლება მისცა დაიმუშავონ მაროკოს მადაროებიო. ეს იყო მიზეზი, რომ ესპანიამ მაროკოს წინააღმდეგ გაილაშქრაო.

**ბერლინი.** ნაშუადამევს 200 დემონსტრანტი შეეცადა ესპანიის საელჩოს სადგომში შესვლას, მაგრამ პოლიციამ გაჰფანტა. დემონსტრანტები „ძირს ესპანიას" ჰყვიროდნენ.

**ათინა.** მეფისწულებმა, ნიკოლოზმა, ანდრეიმ და ქრისტეფორემ უარი განაცხადეს, ჯარში აღარ ვიმსახურებთო.

**მესსინა.** საღამოთი, შვიდი საათის შემდეგ, მიწა ოთხჯერ იძრა. მცხოვრებლები ძალიან შეშინებულები არიან.

**მადრიდი.** სენატში დემოკრატმა დიაცმერენმა გაჰკიცხა ესპანიის მთავრობა და განაცხადა: საზღვარ-გარედ დემონსტრაციები ესპანიის მთავრობის მოქმედებამ გამოიწვიაო. დიაცმერენის სიტყვებმა სენატის წევრებში აღელვება გამოიწვია. გარეშე საქმეთა მინისტრმა ამაზე სთქვა: ნამდვილმა პატრიოტმა არ უნდა დაიჯეროს საზღვარ-გარედ გავრცელებული არაკი, ვითომ ესპანიაში შესაძლებელი იყოს, ვინმე მარტო იდეებისთვის დაისაჯოსო.

**მადრიდი.** დეპუტატთა პალატა. რესპუბლიკანელების შეკითხვაზე პალატას პასუხი გასცა მინისტრ-პრეზიდენტმა მაურამ. მან სთქვა: საზღვარ-გარეთის დემონსტრანტებს თითქოს არ უნდათ აღიარონ, რომ ესპანიის მთავრობას უფლება აქვს დასაჯოს ისინი, რომელთაც ბარსელონაში აღელვება მოახდინეს. ფერერის საქმის გამოძიებას დეპუტატთა პალატას წარვუდგენთ. ფერერის თანამოაზრეები არიან ისინი, ვინც პროტესტს აცხადებენ და საქმეს ამწვავებენ. ამ უკანასკნელებმა ნათლად და აშკარად დაანახვეს ყველას, რომ მათ არაფერი იციან ესპანიის კანონებისაო.

**ხარბინი.** მოლაპარაკება შესწყდა სუმსკის ქარხნებსა და ჩინელ ვაჭართა ამხანაგობა ფუხაუს შორის. ამხანაგობა ფუხაუმ ჩინეთის მთავრობისგან ათის წლის განმავლობაში მონოპოლია მიიღო, დაარსოს შაქრის ქარხნები. ფუხაუს ამხანაგობამ ხელშეკრულობა დასდო გერმანიის ქვეშევრდომ ბენტანთან. ბენტანი მოვალეა მდინარე სუნგარის მარცხენა ნაპირზე, ხარბინის პირდაპირ, შაქრის ქარხანა მოაწყოს. ქარხნის ადმინისტრაციის წევრებად გერმანელები დაინიშნებიან.

**კოპენჰაგენი.** ჩამოვიდა გრენლადნიის გემი „გოდტგაბი". ამ გემით კუკი ურერნავიკიდან ეგედერმანდეში წავიდა. „პოლიტიკენის" სიტყვით ამ გემის კაპიტანს უთქვამს: ნორდსტარბეიში ესკიმოსებმა გადმომცეს, კუკმა ჩრდილოეთის პოლიუსს მიაღწია. როდესაც ერთი დღის სავალი ღა დაგვრჩა პოლიუსამდე, კუკი გამოკვლევას შეუდგა, შემდეგ დაიწყო ხტუნაობა, იცინოდა, ყელზე გვეხვეოდა და გვეუბნებოდა, „ხვალ იქ ვიქნებითო". ამის შესახებ სხვა და სხვა ესკიმოსის ნალაპარაკევში ერთი ერთმანეთს უახლოვდებიან.

## რ უ ს ე თ ი

**უფა.** სოფელ ნოვი მატახში გადაიწვა 78 სახლი და წრევანდელი მოსავალი.

**კურსკი.** სოფელ ბაკიშახში გადაიწვა 113 სახლი.

**ლიტინი.** სოფელ კსვეროვკიდან იუწყებიან: სალდათებს 7 ტუსაღი მათ შორის, 4 კატორგა გადაწყვეტილი ვინიცაში მიჰყავდათ. ტუსაღები მისცვივდნენ სალდათებს, დასჭრეს ერთი, იარაღი წაართვეს სამს და იქვე ახლო მდებარე ტყეს შეაფარეს თავი. მათ დასაჭერად გაიგზავნენ საეროზო დარაჯები და სალდათები.

**ჩელიაბინსკი.** საღამოთი 10 შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველი თავს დაეცა საქონლის სადგურს. დარაჯებმა მოჰკლეს ორი ბოროტ-გამზრახველი, დანარჩენები მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** სააგენტოს სხვა და სხვა ქალაქებიდან ცნობები მოვიდა, სასწავლებლებმა იდღესასწაულეს კოლცოვის ასი წლის დაბადების დღე, გადაიხადეს პანაშვიდები, გამართეს სალიტერატურო დილები და სხვა. მოსწავლეებისთვის დაურიგებიათ კოლცოვის ნაწარმოებნი.

**პეტერბურგი.** ადმინისტრაციამ 1000 მანეთით დააჯარიმა გაზეთ „ნოვაია რუსის" რედაქტორი ზაიონჩკოვსკი გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი „მეორე ხარისხოვანი განძი".

**მოსკოვი.** გაიხსნა ოქტომბრის-

ტების კრება. კრების გახსნას დაესწრნენ სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს ზოგიერთი წევრები. კრების თავმჯდომარემ გუჩკოვმა მისალმების შემდეგ კრებას წინადადება მისცა, ხელმწიფე-იმპერატორს უქვეშევრდომილესი დეპეშა გაუგზავნოთო. კრებამ მიიღო გუჩკოვის წინადადება, აქვე შეადგინეს დეპეშა და წაიკითხეს. დეპეშის კითხვას კრება ტაშით მიეგება. იმღერეს ეროვნული ჰიმნი. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს მილიუტინი, მის ამხანაგებად სახელმწიფო საბჭოს წევრი სისნოვი და დმიტრიევი. ამის შემდეგ მესამე სათათბიროს მოქმედების შესახებ სიტყვა წარმოსთქვა გუჩკოვმა. მან, სხვათა შორის, სთქვა: ოქტომბრისტები სახელმწიფო სათათბიროში უმრავლესობას არ წარმოადგენენ. ეს იყო მიზეზი, რომ ფრაქციას ხშირად უხდებოდა შეთანხმებულიყო სხვა და სხვა პარტიებთან, უმეტეს შემთხვევაში ზომიერი მემარჯვენეებთან და ზოგჯერ პროგრესისტებთანაც. მომავალში, მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისთვის, პარტიამ უფრო უნდა გააფართოვოს თავის პროგრამმა, რომ სათათბიროს უმრავლესობა მას დარჩეს. ოქტომბრისტებს არას დროს არ უღალატნიათ თავიანთ ლოზუნგისთვის: „თვითმპყრობელობა, ეროვნება და მართმადიდებლობა“. ოქტომბრისტები მომხრენი არიან კონსტიტუციონურ მონარქიისა ორი პალატით. აღმასრულებელი ძალა ხელმწიფის და მინისტრების ხელში უნდა იყოს. მინისტრები პასუხს უნდა აგებდნენ ხელმწიფის წინაშე. ოქტომბრისტები რუსის ხალხს იცავენ. მაგრამ წინააღმდეგნი არიან, რომ სხვა ეროვნება დაიჩაგროს. ოქტომბრისტები მართლმადიდებლობის მომხრეები არიან, მხოლოდ მათის აზრით მართლმადიდებლობამ არ უნდა შეავიწროვოს სხვა სარწმუნოების მიმდევრები. ოქტომბრისტები სხვა პარტიებსავით ოპოზიციის გულისთვის ოპოზიციონერები ვერ გახდებიან. ზოგიერთი პარტიები ყველა კარგ კანონ-პროექტს უარს ჰყოფენ, თუ კანონ-პროექტი მთავრობისაგან არის შედგენილი. მე იმედი მაქვს, ოქტომბრისტები თავიანთ წარმომადგენლებს არ მოუწონებენ, რომ ოპოზიციის გულისთვის ოპოზიციონერები გახდნენო. გუჩკოვის შემდეგ ბიუჯეტზე ილაპარაკა ალექსეენკომ. ალექსეენკოს სიტყვით რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა ცოტად გამოკეთდა, საჭიროა სათათბიროს საბიუჯეტო უფლებების გაფართოვება და სხვა. ალექსეენკოს აზრით სათათბიროს შარშანდელ საბიუჯეტო მუშაობას უქმად არ ჩაუვლია, მთავრობამ 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს მხედველობაში მიიღო სათათბიროს სურვილებით.

## ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** დღე ღამეში ავად გახდა 25, გარდაიცვალა 15, არის 334 კაცი.

**პეტერბურგი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა: არხანგელსკში 4, ბალახნაში 1, გროდნოს მაზრაში 3, დრისაში 4, კიევში 24, კიევის გუბერნიაში 8, კოსტრომის გუბერნიაში 14, კრონშტადტში 1, ნოვგოროდის გუბერნიაში 10, კრემენჩუგში 13, კრემენჩუგის მაზრაში 5, პონევეჟაში 20, კრენგოლმში 5, სირენცში 3, სარატოვში 1, ელატომსკის მაზრაში 9, ტვერში 10, ტვერის, კორჩევის, კალიაზინსკისა და სტარიცკის მაზრებში 5, ოსტრაში 2, სოფელ სტალინში 3, იაროსლავში 25, იაროსლავის გუბერნიაში 22 კაცი; გარდაიცვალა: არხანგელსკში 1, ბალახნაში 1, გროდნოში 1, გროდნოს მაზრაში 3, დრისაში 2, კიევში 7, კიევის გუბერნიაში 3, კოსტრომის გუბერნიაში 5, კრემენჩუგის მაზრაში 4, კონოვეცში 2, სარატოვში 3, ელატომსკის მაზრაში 5, ტვერში 1, იაროსლავში 11, იაროსლავის გუბერნიაში 14 კაცი.

## ქუთაისის სას.-სამეურნეო გამოფენა

(წერილი ქუთაისიდან)

თქვენმა მეორე ქუთათურმა თანამშრომელმა უკვე მოგაწოდათ მოკლე ცნობა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ. ამ ღღეებში დაწვრილებით ცნობებს გამოგიგზავნით ამ არა ჩვეულებრივ გამოფენის შესახებ. ეხლა-კი აღვნიშნავ მხოლოდ რომ ამ გამოფენას, როგორც მოსალოდნელი იყო, მეურნეობისა არაფერი სცხია—რა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ათიოდე ტარო სიმინდს და რამდენსამე მტევან ყურძენს. მეურნის, სოფლის მუშის ნაწარმოები აქ არ არის. აქ ნახავთ ზინგერის მანქანებს, სასწავლებლების ექსპონატებს, სახელმწიფო დაწესებულებათა კოლექციებს და სხვა ამ გვარებს. ეს მოსალოდნელიც იყო. ჩვენ ამ საგანს რამდენიმე წერილი ვუძღვენით და ვაფთხილებდით გამოფენის ინიციატორთ, რომ განვლილ წლების არეულობა, დამსჯელ რაზმების მოქმედება და რამდენიმე წლის მოუსავლობა ხელს არ უწყობს გამოფენის გამართვასაო, მაგრამ მათ თავიანთი არ დაიშალეს და ეხლა ნაყოფს თვითონ ჰხედავენ.

ჩვენ უფრო მეტ იმედებს ვამყარებთ მეურნეთა კრებებზე, როდესაც შეიძლება გამოირკვეს მეურნეობისა და მეურნეთა უმწეო მდგომარეობა და ისიც, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად სოფელი წლევანდელ მოუსავლობის გამო, მაგრამ აქაც შორსმჭვრეტელობა ვერ გამოიჩინეს გამოფენის გამგეებმა: კრება და თვით გამოფენაც იმ დროს დანიშნეს, როცა სოფელი ჭაპან-წყვეტაშია. ენკენისთვის დამლევს და მთელ ღვინობისთვეს იმერეთში ცხარე მუშაობის დროა. სიმინდს ეხლა სჭრიან და რთველობა ეხლაა და რომელი თავზე ხელ აღებული მეურნე მიანებებს თავს წლის ნაჭირნახულევს და კრებაზე მოვა, მაგრამ ჩინოვნიკებს ამისა არც რამე გაეგებათ და არც ენაღვლებათ, ოღონდ თავიანთ უფროსების წინაშე დაიმსახურონ სახელი მომქმედ კაცისა.

1 ოქტომბრის მეურნეთა კრებას ბევრი ხალხი დაესწრო, მაგრამ თუ გამოვაკლებთ ჩინოვნიკებს, ქუთაისის მუდმივ მცხოვრებთ, აღმოჩნდება, რომ სოფლიდან თავის ნებით მოსული მხოლოდ 2—3 კაცი და დანარჩენიც ოციოდე კაცი ძალაუნებურად, ბძანებით მოსული გლეხები არიან, რომელნიც ყოველ წუთს მზად არიან მიანებონ თავი კრებას და თავიანთ საქმეს მიაშურონ, მაგრამ ამას ვერა ჰბედავენ, რადგან ძალა ხშირად აღმართსა ხნავს.

გუბერნატორმა, გახსნა თუ არა კრება, წინადადება მისცა დამსწრეთ, თავმჯდომარე, მისი თანაშემწე და მდივნები აერჩიათ. თითო-ოროლა მეურნემ, რომელნიც ხალხში იყვნენ გარეულნი, უარი განაცხადეს იმ მიზეზით, რომ სოფელში მივეჩქარებითო. ბოლოს, ბევრის ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, თავმჯდომარედ აირჩიეს ქალაქის გამგეობის წევრი იაკობ ფანცხავა, იმის ამხანაგად—იოსებ გუნცაძე, ხოლო მდივნებად—დავით მდივანი და იოსებ ქუთათელაძე.

საერთო კრებაში ყველა განსახილველ საგანზე ბაასი კრებამ შესაძლებლად ვერა სცნო. მთელი კრება გაიყო 4 სექციად. პირველ სექციაში (თავმჯდომარე იოსებ გუნცაძე) შევიდა მევენახეობა, მეღვინეობა და მებაღეობა; მეორეში—პირუტყვის მოშენება, აბრეშუმის მოყვანა და მეფუტკრეობა (თავმჯდომარე ალექსანდრე ქალანთარი); მესამეში—მიწის მოქმედება (полеводство) (თავმჯდომარე სტეფანე ტიმოფეევი) და მეოთხეში—აგრონომიული განათლება და აგრონომიული დახმარება (თავმჯდომარე ნიკოლოზ მკურნალი).

სექციები იმუშავებენ ცალ-ცალკე, გამოიკვლევენ საკითხებს და შემდეგ თავიანთ მოხსენებებს წარუდგენენ საერთო კრებას.

გამოფენაზე ყოველ დღე, ნაშუადღევის 4 საათზე, ა. ა. ქალანთარი კითხულობს ლექციებს მეძეობის შესახებ პრაქტიკულ დემონსტრაციებით, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ საღ რძეს ვერა შოულობენ გამოფენის გამგენი, რომ ამ დემონსტრაციებს გამოადგეს.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**✦ სამხედრო სასამართლო.** 4 ოქტომბერს, კავ. სამხედრო ოლქის სასამართლომ გაარჩია ოჰანეზ მელიქ მათეოსიანცის, იაგორ თეიმურაზოვის, ილია საზანდარიშვილისა და ოსმალეთის ქვეშევრდომის პაკენ თათოსიანცის საქმე. მელიქ მათეოსიანცს, თეიმურაზოვს და თათოსიანცს ჰბრალდებოდათ ბრბოს შედგენა და ცარცვა-გლეჯა, ხოლო ი. საზანდარაშვილს—ხეჭის შეწყობა. სასამართლომ ო. მელიქ მათეოსიანცს, ი. თეიმურაზოვს და პ. თათოსიანცს მიუსაჯა ჩამოხრჩობა და დაადგინა: იშუამდგომლოს ნამესტნიკის წინაშე ამ სასჯელის შემსუბუქების შესახებ. ი. საზანდარაშვილი სასამართლომ გაამართლა.

**✦ საკითხი საექსარხოსოს შესახებ.** ამას წინად „ნოვ. ვრემ.“-დან გადმოვბეჭდეთ, ვითომ სინოდს საბოლოოდ გადაეწყვიტოს საექსარხოსოს გაუქმება. როგორც გვატყობინებენ, სინოდს საბოლოოდ ჯერ არა გადაუწყვეტია-რა, თუმცა პროექტით ამიერ-კავკასიაში უნდა დაარსდეს ექვსი დამოუკიდებელი საეპისკოპოსო და გაუქმდეს ექსარხოსის თანამდებობა. ექვს ეპისკოპოსიდან 4 იქნება რუსი, ორი ქართველი. ტფილისში იქნება ბაქოს ეპისკოპოსი; იმის ვიკარებად იქნებიან რუსი ეპისკოპოსები ყარსსა და განჯაში. ბათუმისა და სოხუმის ოლქების (ამ ოლქებში შევა სამეგრელოც) ეპისკოპოსადაც რუსი იქნება, რომლის რეზიდენციადაც ბათუმი დაინიშნება. ქართველი ეპისკოპოსები იქნებიან ქართლ-კახეთის და გურია-იმერეთის ეპარქიებში. როგორც გადმოგვცეს, ნამესტნიკს თავისი აზრი წარუდგენია უწმ. სინოდში. იგი საჭიროდ სცნობს, რომ საექსარხოსოში მართვა-გამგეობის ძველი წესი დარჩეს. ექსარხოსის თანამდებობაზე კანდიდატებად ასახელებენ ტამბოვის ეპისკოპოსს ინოკენტის და ალეუტისას (ამერიკაშია)—პლატონს.

**✦ ექიმ ტრიანტაფილიდისის მოკვლის საქმე.** 2 ოქტომბერს ბათუმში დაიწყო ტრიანტაფილიდისის საქმის გარჩევა. საქმეს არჩევს სამხედრო სასამართლო. პასუხის გებაში მიცემულია: რამიშვილი, ელენტი, ჰინჭარაძე, ცინცაძე, დოლიძე, ჰასან რეჯებ-ოღლი, ბაიადირ სელი ოღლი, მამედ ქათიმ-ოღლი, ალი რეჯებ ოღლი, იუნუს ჩორდან ოღლი, ასლან კასპარ-ოღლი, თანდიაშვილი და რევია. არც ერთმა თავი დამნაშავედ არა სცნო, გარდა ერთ აფხაზისა. სასამართლოს განაჩენსა და საქმის ვითარებას მკითხველთ შემდეგ გავაცნობთ.

**✦ სიკვდილით დასჯა.** ბლაგოვეშჩენსკში სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ჩიქოვანს, ქელივიძეს, მაგულარიას, სასანიას, [illegible] და გაბუნიას. [illegible] ექსპროპრიაციის [illegible] დათ (ი.)

**✦ ლექციები ერობის შესახებ.** კვირას, 4 ოქტომბერს, ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის ინიციატივით, გ. ბ. გვაზავამ და ა. ხატისოვმა სახალხო სახლში წაიკითხეს ლექციები ერობის შესახებ. პირველად ლექცია წაიკითხა გ. გვაზავამ, რომელმაც საათ ნახევარი ილაპარაკა. ლექტორმა აღნიშნა, რა მნიშვნელობა ექნება თვითმართველობას ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ ჩვენი ქვეყნისათვის, გააცნო დამსწრეთ სექციების ნამუშავარი და შემდეგ შეეხო სექციების სადაო საკითხებს. უმთავრესი ყურადღება მიაქცია საკითხს ქალაქების ერობიდან გამოყოფისა და საარჩევნო უფლებას. ლექტორმა თავისი თავი საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპიალურ მომხრეთ გამოაცხადა, მაგრამ მოაგონა დამსწრეთ დღევანდელი პირობები და სთქვა: ისეთს ნურას მოვითხოვთ რის მიღებაც არ შეგვეძლება. მომენტის მიხედვით უმჯობესია ვითხოვოთ ისეთი საარჩევნო უფლება, როგორიც მოცემულია 3 ივნისის კანონითაო. ვრცლად შეეხო ლექტორი ქალაქების საზოგადოდ და ტფილისის კერძოდ გამოყოფას. იგი წინააღმდეგია გამოყოფისა სამაზრო ან საგუბერნიო ერობიდან და თავისი საბუთებიც მოიყვანა. ბ-ნმა ალ. ხატისოვმაც დიდ ხანს ილაპარაკა. მან უმთავრესად მოაგონა დამსწრეთ ისტორია ერობის საკითხისა ჩვენში. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ერობის შესახებ საკითხი ჯერ ისევ მესამოცე წლებში აღიძრა და იმ დღიდან ძრავალი შუამდგომლობა გაიგზავნა. მაგრამ არა თუ შემოიღეს ერობა, უფრო შეზღუდვის საბჭო, რომელიც 1857 წლიდან ნამესტნიკის საბჭოსთან ყოველ საწელიწადში იკრიბებოდა და ერობის აღრიცხვას ადგენდა. შემდეგ ლე[illegible]

## მარიამი, უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი

2. *)

### სამეფო სახლობის რუსეთში გადასახლება.

საქართველოს შეერთების საქმეში რუსეთის მთავრობა მწყობრის თანდათანობით მოქმედებდა. დასთანხმდა რა პირველად იმპერატორი პავლე საქართველოს მარტო ვესსალურ დამოკიდებულებას, რომელსაც საკუთარი მეფე უნდა ჰყოლოდა და გამგეობა უნდა ჰქონოდა, რუსეთს კი უზენაესი მფარველობა გაეწია და ჯარი ჰყოლოდა მუდმივ საქართველოში, იმპერატორმა შემდეგში სრულიად შეიცვალა აზრი და მოისურვა საქართველო რუსეთის ჩვეულებრივ გუბერნიად გადაექცია და სრულიად მოესპო ავტონომიური გამგეობა.

20 იანვარს 1801 წელს იმპერატორი პავლე პირველი ასე სწერდა საქართველოს მთავარ გამგეს კნორინგს: „მე მსურს, რომ საქართველო, როგორც უკვე გწერდი, გუბერნიად დარჩეს, ამიტომ საჭიროა ეხლავე სამოქალაქო საქმეებში სენატს დაუქვემდებარო და სასულიეროში სინოდს. გუბერნატორად თუნდა ჯერ-ჯერობით რომელიმე სამეფო გვარეულობისა დააყენე, იმ პირობით, რომ ყველაფერში შენგან იყოს დამოკიდებული“. მეორე წერილში, რომელსაც საკუთარის ხელითა სწერს იმპერატორი იმავე დღის თარიღით, შემდეგია ნათქვამი. „მისწერევი ვახტანგს და ყველა ბატონიშვილს ერეკლეს და გიორგის ძეთა, რომ მე მსურს მათი აქ ნახვა და როცა შესაძლებელი იქნება მათი წამოსვლა, ჯეროვანის პატივით გამოისტუმრეთ.“1) რასაკვირველია, უკანასკნელი წინადადება შედეგი უნდა ყოფილიყო პირველისა: თუ იმპერატორს უნდოდა გუბერნიად ექცია საქართველო და მოესპო მეფობა, საჭირო იყო უპირველეს ყოვლისა რამე ნაირად მოშორება საქართველოდან ბატონიშვილებისა, რომელნიც ერთმანეთს თავპირს ამტვრევდნენ სამეფო ტახტისათვის და აგრე ადვილად არ მიატოვებდნენ მამა-პაპეულს სამფლობელოს.

თანახმად იმპერატორის წინადადებისა, კნორინგმა ყველა ბატონიშვილს გაუგზავნა წერილი: იულონს, ვახტანგს, მირიანს, ფარნაოზს, იოანეს და სხვათა. კნორინგი, სხვათა შორის, სწერდა: „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ჩემდამი ბოძებულს რესკრიპტში აცხადებს სურვილს თქვენის ბრწყინვალების ნახვისას და თქვენზე მოწყალების მოღებისა“.

ცნობის მოყვარე იოანე ბატონიშვილმა პირველმა განაცხადა სურვილი. იმას მიჰბაძეს ბაქარმა და მიხეილმა. ბატონიშვილებს, რასაკვირველია, ეჭვიც კი არა ჰქონდათ, რომ ნებას აღარ მისცემდნენ სამშობლოში დაბრუნებისას. წინადაც არა ერთი და ორი ბატონიშვილი წასულა რუსეთში, მაგრამ ვისაც კი მოუსურვებია უკან წამოსვლა, დამშლელი არავინა ყოფილა და საიდან უნდა აღძროდათ ამგვარი შიში და ეჭვი. იმათ იწვევდნენ რუსეთში, რადგან იმპერატორს მოესურვებინა ბატონიშვილების გაცნობა-ნახვა და მათზე მოწყალების მოღება. ბატონიშვილმა მირიანმა, ერეკლეს ძემ, განაცხადა სურვილი რუსეთში წასვლისა, როგორც ვიცით, მირიანი წინადაც იყო ერთი ხელობა რუსეთში სამსახურში და მხოლოდ ერეკლე მეფის ავადმყოფობისა გამო რუსეთის მთავრობამ გამოგზავნა საქართველოში და თან ექიმი გამოაყოლა ერეკლესთან. მაგრამ, როგორც ვიცით, მირიანმა ვეღარ ჩამოუსწრო ექიმით ერეკლეს. მას შემდეგ მირიანი დარჩა სამშობლოში, საქართველოში, საქართველოს აწეწილ-დაწეწილ საქმეებში მონაწილეობას იღებდა და იულონს უჭერდა მხარს. მაგრამ რაკი საქართველოში სასიკეთოს ვეღარა ჰხედავდა, ისარგებლა იმპერატორის წინადადებით და განაცხადა რუსეთში წასვლის სურვილი. ბატონიშვილმა ვახტანგმაც2) განგებ განაცხადა სურვილი, საგზაო ფულიც მიიღო, მაგრამ ვინ არ იცოდა, რომ ვახტანგის მხრივ ეს თვალთმაქცობა იყო.

9 მარტს 1801 წელს საქართველოდან გავიდნენ იოანე, ბაქარი და მიხეილი, ხოლო 15 მარტს მათს კვალსვე გაჰყვა ბატონიშვილი მირიანი. გეორგიევსკში, სადაც მაშინდელი საქართველოს გამგის რეზიდენცია იყო, მათ სთხოვეს კნორინგს, რომ მათს დაბრუნებამდის ხელუხლებელი დარჩენილიყო მათი მამული, ყმები მორჩილნი ყოფილიყვნენ მათის ოჯახებისა და ყოველივე მათი ბრძანება ასრულებულიყო. კნორინგი დაჰპირდა ყველაფრის ასრულებას და წერილი მისწერა ლაზარევს, თვალყური სჭეროდა ბატონიშვილების ადგილ-მამულზე. 23 მარტს ბატონიშვილები გეორგიევსკიდან გავიდნენ და 12 მაისს უკვე პეტერბურგს იყვნენ.

დანარჩენ ბატონიშვილთაგან ტფილისში მაშინ აღარავინ იყო. დუშეთში მყოფმა ვახტანგმა ხომ უკვე განაცხადა სურვილი წასვლისა, იულონი, ფარნაოზი და ალექსანდრე კი იმერეთში იყვნენ გახიზნულნი. მათ თან ახლდათ განდევნილი ქართლის თავად-აზნაურობა, 300 კაცამდის. ბატონიშვილები ბინადრობდნენ ს. ქალაში თავიანთ ამალით, მათ სარჩენად იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ ახალი ხარკი დაადო იმერეთს, ყოველი კომლი მოვალე იყო ეძლია ორი ფუთი პური და რვა თუნგი ღვინო.3) ამ ყოფაში იყვნენ ბატონიშვილები, რომ რუსეთში გაწვევის წერილი მიიღეს. ბატონიშვილები გულცივად დაუხვდნენ წერილის მომტანს თავად მაჩაბელს და, როგორც მოსალოდნელი იყო, ცივი უარი განუცხადეს და ასე შეუთვალეს ლაზარევს: „უმჯობესი იქნება იმერეთში გავწყდეთ, ვიდრე რუსეთში წავიდეთო“. საქართველოს გამგეს დავით ბატონიშვილს კი ასეთი პასუხი გაუგზავნეს: ტყუილად ნუ თავქარიანობ, თავი ნუ მოგაქვს ცარიელი გამგებლის სახელწოდებით, ეხლა ჩვენ გვიბარებენ რუსეთში, მაგრამ დიდი ხანი არ გავა, რომ შენც იქითკენ გიკრავენ თავსაო.

ამ რიგად, მხოლოდ ოთხი ბატონიშვილი წავიდა რუსეთს, დანარჩენნი კი არ აპირებდნენ საქართველოდან ფეხის მოძვრას. იულონი და მისნი ძმანი, არა თუ საქართველოდან წასვლას არა ფიქრობდნენ, პირიქით იმერეთში გახიზნულნი ფხიზლად ადევნებდნენ თვალ-ყურს რუსეთის მთავრობისა და მხედრობის მოქმედებას, რომ როცა კი მარჯვე დრო მიეცემოდათ, შესულიყვნენ ქართლში, გადაეყვანათ თან იმერეთის ჯარი, მიეშველებინათ ახალციხის ფაშა, დაღესტნის ლეკები და სრულიად განედევნათ რუსები საქართველოდან. მუდმივი და განუწყვეტელი მიწერ-მოწერა ქართლისა და კახეთის თავადიშვილებთან აგებინებდა ყოველ ფეხის გადადგმას რუსეთის მხედრობისას, ამიტომ მათ აინუნშიაც არ მოსდიოდათ რუსეთში წასვლა და იმპერატორის რჩევა.

მაგრამ, ვიდრე ბატონიშვილების გადასახლების ამბავს განვაგრძობდეთ, საჭიროა მოკლედ გავიხსენოთ, რასა შვრებოდა ბატონიშვილი დავითი, საქართველოს გამგედ დაყენებული, და როგორ განაგებდა საქართველოს აწეწილ-დაწეწილს საქმეებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატონიშვილმა დავითმა თავდაპირველადვე ვერ გამოიჩინა ჯეროვანი მხნეობა და გამჭრიახობა. იგი სრულიადაც არა სცდილობდა, აწეწილ დაწეწილი საქართველო დაემშვიდებინა და ხალხში ერთმანეთდ სიყვარული ჩამოეგდო. მახლობელთა შთაგონებით, რომელნიც ახალგაზდანი, გამოუცდელნი და გავლენის არ მქონენი იყვნენ, მან დაიწყო ძველი ანგარიშების გასწორება. უპირველეს ყოვლისა იმერეთში გაქცეულ იულონს მრისხანე წერილი მისწერა, თუ არ დაბრუნდები, ისე მოგექცევი, როგორც სახელმწიფოს მოღალატეს, და როცა იულონმა, რასაკვირველია, არ შეისმინა მისი მრისხანება, დავითმა დაურიგა მისი ყმა და მამული თავისს მომხრეებს. გარდა ამისა, თავისს წინანდელს მოწინააღმდეგეებს მუსრს ავლებდა და შურს იძიებდა, მთელის საუკუნოებით კუთვნეულს მამულსა და ყმებსართმევდა მათ და სულ თავისს მომხრეებს აძლევდა. ბატონიშვილის ასეთ მოქმედებას საზღვარი არა ჰქონდა. ასე გასინჯეთ, ხატებსა, ჯვრებსაც და სახლ-კარსაც კი ართმევდა, ვისაც წინად ერთი ბეწვა დანაშაული მიუძღოდა მის წინააღმდეგ. დარეჯან დედოფალს ცხინვალისა და გორის სამღებროები წაართვა, ულუფა მოუსპო და ისეთი სოფლები მიუჩინა სარჩენად, რომლებიდანაც დედოფლის გამოანგარიშებით 170 მანეთი ძლივს შემოდიოდა წელიწადში. დედოფალ მარიამის მოურავს კიდევ სცემეს მისი ბრძანებით და გამო გდეს სოფლებიდან, სადაც დედოფლისაგან იყო გაგზავნილი. აქტებში მოქცეულია უშველებელი სია იმ მამულებისა, რომელნიც დავით ბატონიშვილს წაურთმევია და სხვებისთვის გადაუცია. სულ რაღაც ხუთიოდე თვე იყო გამგედ და ამ მოკლე ხანში 81 კაცისათვის წაურთმევია მამული და ყმა 4). დავითი არ ინდობდა არც სასულიერო პირთ: წილკნის ეპისკოპოსს წაართვა მუხრან-ბატონს და თითონ მიითვისა. სომხის ეპისკოპოსის სიკვდილის შემდეგ მისი სამკვიდრო სამ ნაწილად გაჰყო და ერთი ნაწილი თითონ დაისაკუთრა.

გარდა ამისა, ციხეში უკრა თავი იოანე ორბელიანსა და გორის ამილახვარს ოთარს.

ასეთს მდგომარეობაში იყო საქართველო, რომ იმპერატორი პავლე პირველი გარდაიცვალა. მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოში არეულობა მოხდებოდა. ბატონიშვილი ვახტანგი, რომელმაც უკვე უარი განაცხადა რუსეთში წასვლაზე, სწორედ ასეთს დროს და მიზეზს ეძებდა ასაჯანყებლად, იმერეთში გახიზნული ბატონიშვილნი კიდევ ხომ სულ ცას დაეწივნენ. ბატონიშვილებს ეგონათ, რომ რუსეთის მხედრობა საქართველოში ჩვეულებრივ დაიბნეოდა ან სრულიად წავიდოდა საქართველოდან და იმედი მიეცათ საქართველოს კვალად ხელში ჩაგდებისა. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე უკვე ჯარის მზადებას შეუდგა და დღე-დღეზე ელოდნენ ქართლ-კახეთისაკენ გამოლაშქრებას, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდათ, რუსეთის მხედრობა არა თუ დაიბნა, პირიქით უფრო გაძლიერდა ახალის ჯარის მოსვლით.

*) იხ. „დროება“ N 206

1) „Поступленіе грузіи Въ Русское подданство“, აქტები, გვ. 414.

2) ბატონიშვილი ვახტანგი ორის სახელით იხსენიება; ქართული წყაროები უმეტესად ალმასხანად იხსენიებენ, რუსული კიდევ ვახტანგად. ჩვენ ამ უკანასკნელს ვახმარებთ ყოველთვის.

3) იხ. Георгій XII“, Дубровина.

4) „Акты Кавказской археографической комм.“ т. 1.

ქტორი შეეხო რუსეთის ჩამორჩენას და ხალხის უუფლებობას. მერე გადავიდა სექციების მუშაობაზე და მანაც გააცნო დამსწრეთ ამ სექციების მუშაობა. დასასრულ იგიც შეეხო ქალაქების გამოყოფის საკითხს. ხატისოვი ქალაქების გამოყოფის საჭიროებას, სხვათა შორის, ამტკიცებდა პროლეტარიატის ინტერესებით.

✦ **ტრამვაის დირექტორის თხოვნა.** ტრამვაის ახალ დირექტორს უთხოვნია გენერალ-გუბერნატორისთვის, მიიღოს განსაკუთრებული ზომები, რომ ხალხი იმ მხრიდან არა სხდებოდეს ვაგონში, რა მხრიდანაც აკრძალულია. როგორც ვიცით, ვაგონებს ცალ მხარეს ხარიხები აქვს გადებული, მაგრამ ხალხი მაინც თავისას არ იშლის და ამ ხარიხების ქვემოდან ძვრება. ამის გამოო, სწერს დირექტორი, ბევრი უბედურება ხდება და უსახელო საზოგადოებას ზარალი მოსდისო. გენ.-გუბერნატორმა ეს თხოვნა გადასცა გუბერნატორს, რომელმაც, მეტად ჩასთვალა განსაკუთრებულ ზომების მიღება, რადგან უკვე გამოცემულია სავალდებულო დადგენილებანი ტრამვაით სარგებლობის შესახებაო.

✦ **„ბუნების კარის" ახალი გამოცემა.** მოგვივიდა „ბუნების-კარის" მეთვრამეტე გამოცემა. ამ გამოცემის ტექსტი უცვლელად არის გადმობეჭდილი წინა გამოცემიდან. მხოლოდ რამდენიმე ახალი სურათი აქვს ჩართული (არწივი ყდაზე, ჭინაჭინის ხე, ჯგუფი ქართველ მგოსნების), საქართველოს ქარტა ახლად არის ქვაზე ამოჭრილი და სულ ბოლოში ჩართული აქვს სულ ახალი განყოფილება: „კაცობრიობა" ევროპის პატარა ქარტით (612—632 გვ.) როგორც წინასიტყვაობის ბოლოში ავტორი გვაცნობს, „ბუნების-კარში" ამის შემდეგ აღარავითარი ცვლილება აღარ მომხდარა, რადგან წიგნი ავტორს სრულიად დამთავრებულად მიაჩნია.

✦ **დაპატიმრება.** „კასპის" სიტყვით, პეტროვსკში დაუპატიმრებიათ ტფ. პირველ გიმნაზიის მასწავლებელი მეფფერტი. ამბობენ, მეფფერტი პოლიტიკურ საქმისთვის დააპატიმრესო.

✦ **მაჰმადიანთა დემონსტრაცია.** „ბაკუ"-ში ვკითხულობთ: პირველ ოქტომბერს მაჰმადიანმა ვაჭრებმა დახურეს თავიანთი დუქნები და გრადონაჩალნიკის კანცელარიაში წავიდნენ. გრადონაჩალნიკის შეკითხვაზე, ვაჭრებმა სთხოვეს, დახურეთ ის გაზეთები, რომელნიც თათრულ ენაზე გამოდიანო. გრადონაჩალნიკმა განმარტება მოითხოვა. გამოირკვა, რომ გაზეთ „იტტი ფაგის" მე-221 ნომერში დაბეჭდილა ფელეტონი: „რეალურ სასწავლებლის ისტორიის მასწავლებლის ისტორია". ფელეტონში წერებულა, რომ, ისტორიის მასწავლებლის სიტყვით, არაბები ძალიან ველური და უსწავლელი ხალხი იყო, არ იცოდნენ, რა იყო მეცნიერება, წერა და სკოლა. მათ დაიპყრეს ევროპის ნაწილი, რუსეთი და კავკასია. ამ ქვეყნებში დიდ ხანს ყაჩაღობდნენ. რუსისგან ისწავლეს წერა-კითხვა და შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენო. აქ მათ ისარგებლეს რუსეთში შეძენილ ცოდნით და შეადგინეს წიგნი, რომელსაც ყორანი დაარქვესო- რეალურ სასწავლებლის ისტორიის მასწავლებლის აზრით, ის სამლოცველოები, რომლებიც არაბებმა ესპანიასა და სხვა ქვეყნებშიააშენეს, სოფელ ეკატერინოდარის ეკლესიისგან არის გადაღებულიო. გრადონაჩალნიკმა ვაჭრებს აღუთქვა, საქმეს გამოვიძიებო. აბობოქრებული ხალხი მეჩეთისკენ გაეშურა, სადაც რამდენიმე ცხარე სიტყვა წარმოითქვა. „იტტი ფაგის" რედაქციას დარაჯები იცავდნენ. მეორე დღეს გაზეთმა განმარტა, რომ ჩვენ სარწმუნოებას არ უარ-ვყოფთ და სახეში მხოლოდ ზოგიერთი პირი გვყავდაო.

## საგუბერნიო თათბირი ერობის შესახებ

გუშინ, 5 ოქტომბერს, ტფ. საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გუბერნატორის თავმჯდომარეობით დაიწყო საგუბერნიო თათბირი ერობის შესახებ. მონაწილეობას იღებდნენ წარმომადგენელნი გლეხობისა (21 კაცამდე), მემამულეებისა და თავად-აზნაურებისა, ქალაქებისა, ტფილისელ ვაჭარ-მრეწველებისა და სხვათა. ნაშუადღევის ორს საათზე საკონცერტო დარბაზში შეიკრიბნენ მოწვეულნი და აგრეთვე გარეშენიც. დარბაზი თითქმის აივსო. გუბერნატორმა წარმოსთქვა სიტყვა და, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ თვით-მმართველობის საქმეში ორი უმთავრესი რამ არის საჭირო. პირველი—მომზადებული საზოგადო მოღვაწენი, მეორე—სახსარი. შემდეგ გუბერნატორმა აღნიშნა მოკლედ ისტორია ერობის შემოღების საკითხისა ეხლანდელ ნამესტნიკის გამწესების დღიდან. მაშინ აზრის განხორციელებას ხელი შეუშალა მცხოვრებთა ერთი ნაწილის წინ-დაუხედაობამ და აჩქარებამ. მეორედ ეხლა აღიძრა საკითხი. გუბერნატორმა მადლობით მოიხსენია ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა და ტფ. ქალაქის სამართველოს წარმომადგენელნი, რომელთაც ყოველნაირად შეუწყეს ხელი მასალის შემზადებას. სექციებმა გულმოდგინედ იმუშავეს ორის თვის განმავლობაშიო.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლის მოადგილემ თავ. პ. ი. თუმანიშვილმა. მან აღნიშნა, რომ თავად-აზნაურობამ ჯერ ისევ 1867 წელს აღსძრა შუამდგომლობა ერობის შემოღების შესახებ; ამ დროდან 40 წლის განმავლობაში სულ ამის თხოვნაში იყვნენ თავად აზნაურობა და სხვა დაწესებულებანიო. დასასრულ, ორატორმა უსურვა კრებას ნაყოფიერი მუშაობა.

სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ტფ. ქალაქის თავის მოადგილემ ალ. ივ. ხატისოვმა. მანვე სხვათა შორის სთქვა, რომ გორის სამაზრო თავად-აზნაურობამ ჯერ ისევ 1867 წელს აღძრა შუამდგომლობა ერობის შემოღების შესახებ, 22 წლის წინად თვით ნამესტნიკის საბჭომ გამოსთქვა საჭიროება ერობის შემოღებისა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ერობა მაინც არ შემოიღეს. მიზეზი ამისა იყო უნდობლობა კავკასიის ხალხებისადმი. უნდა გვწამდესო დაამთავრა ბ-ნ ხატისოვმა, რომ ეს უნდობლობის ხანა გათავდა და დგება ხანა განახლებისა და აღორძინებისა.

თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა გააცნო დამსწრეთ სექციის დადგენილებანი და შემდეგ ვრცელ სიტყვაში დაასურათა ეკონომიური დაქვეითება გუბერნიისა. ჩამოსთვალა დაწვრილებით რა მხრით და რა მიზეზებით დაეცა და გაღატაკდა ხალხი და სთქვა, რომ ხალხის აღორძინებას ხელს შეუწყობს ერობაო.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ა. ა. ქალანთარმა, შულავერის მამასახლისმა.

დასასრულ, კრების სახელით დეპეშა გაეგზავნა ნამესტნიკს,

სათათბიროს წევრნი გუშინ საღამოს 8 საათზე მიწვეულ იქმნენ ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში ჩაიზე. დღეს დილიდან დაიწყება მუშაობა.

## „კახეთის" წევრთა კრება

28—29 სექტემბერს თელავში მოხდა მევენახეთა ამხანაგობის „კახეთის" წევრთა კრება. ორ წელიწადზე მეტია გამგეობას კრება არ მოუხდენია, არ უცნობებია წევრთათვის ამხანაგობის საქმეები და ეხლაც კრება რთვლის დროს დანიშნეს, როცა მოცლილი არავინ არის. 164 წევრიდან გამოცხადდა 31 წევრი. იყვნენ ქიზიყიდანაც.

სამწუხაროდ, სანუგეშო ბევრი არაფერი იყო კრებაზე. ძალიან დაქვეითებულა ამხანაგობის საქმეები; რასაკვირველია, მთელ ბრალს გამგეობას ვერ დავდებთ, როგორც ზოგიერთი წევრები სჩადიოდნენ, მაგრამ მასაც დიდი წილი უდევს. გამგეობას არც ერთხელ ნამდვილად და სისწორით არ აუხსნია წევრთათვის საქმის მდგომარეობა, არც ერთხელ მთელ 12 წელიწადში გამგეობას არ დაუთვალიერებია რუსეთის სხვა და სხვა ქალაქში არსებული განყოფილებანი, რომელთაც ზარალის მეტი არაფერი უძლევიათ; კრების ბევრი დადგენილება გამგეობას არ აუსრულებია და სხვა. ყოველ წელიწადს კი კრებები ხდებოდა. დილით ურიგდებოდათ სუფთად და სქელ ქაღალდზე ლამაზად დაბეჭდილი ანგარიში და თუმცა უმრავლესობა ვერაფერს იგებდა, საღამოთი მაინც ამტკიცებდა..

ასეთი მეთაურობა დაქვეითების გზაზე მიაქანებდა ამხანაგობას, რომელსაც, კარგი პატრონ-გამგებელი რომ ჰყოლოდა, მთელი კახეთი უნდა შეერთებინა და 164 წევრის მაგიერ ათასობით უნდა ჰყოლოდა. ამის და მიუხედავათ, „კახეთის" ამხანაგობას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელ კახეთისათვის და თუ არ ეს ამხანაგობა, ღვინის ფასი უარესად დაეცემოდა და მთელი ღვინო ჩარჩვაჭართ ჩაუვარდებოდათ ხელში.

წლევანდელ კრებაზედაც ჩვეულებრივ დილით დაარიგეს ორი წლის ანგარიში და იმავე თუ მეორე დღეს ერთხმად დაამტკიცეს. საანგარიშო წელს ამხანაგობას გაუყიდნია ნაღდად და ნისიად ტფილისში 63394 ვედრო ღვინო, 181779 მანეთისა, განყოფილებებში 20,674 ვედრო 111024 მანეთისა. კახეთიდან გაუზიდნია 55,003 ვედრო 82483 მანეთისა. ბოთლები დაკარგულა და დამტვრეულა ტფილისში 5053 მან., განყოფილებებში 4480 მანეთისა და სხვა.

კრების უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული „კახეთის" აწეწილ-დაწეწილ საქმეებზე. ამხანაგობას დიდ-ძალი ვალი დასდებია უმთავრესად ბ-ნ ფრიდონოვისა. საქმის გამოკეთება მარტოდ-მარტო ფულით შეიძლება, რომელიც ისევ ფრიდონოვს უძლევია, მხოლოდ იმ პირობით, თუ ორი მის მიერ დასახელებული კაცი (ლ. ჯანდიერი და სვ. ანდრონიკაშვილი) იქნება მიწვეული დირექტორ-გამგეებად. ამათაც ღვინის ვაჭრობა ჰქონიათ მოწყობილი ტფილისში. ეს სავაჭროები შეერთდებიან და კახეთის ფირმით ივაჭრებენ. ამის შესახებ შეუმუშავებიათ დაწვრილებითი ინსტრუქცია, რომელიც წარედგინა განსახილველად კრებას. კრებამ დაამტკიცა ინსტრუქცია.

დასასრულ მოხდა გამგეობის და სხვა და სხვა კომისიის წევრთა არჩევნები. გამგეობის [illegible] უკენჭოდ, ერთხმად აირჩიეს ისევ თ. სვ. რ. ვახვახიშვილი. მაგრამ მან მოითხოვა ყუთი დაედგათ. კენჭისყრის შემდეგ თავმჯდომარედ აირჩიეს ისევ თავ. ვახვახიშვილი (28 თეთრი და 2 შავი); ხოლო წევრებად: თავ. დავით ჯორჯაძე (28—3) და თ. სულხან ჰავჰავაძე (22—9).

აქვე არ შემიძლიან არ აღვნიშნო ის უცნაური გარემოება, რომ თუმცა კრებაზე სულ ადგილობრივი მცხოვრები ქართველები იყვნენ და უცხო არავინერია, მაგრამ ლაპარაკი მაინც უცხო ენაზე სწარმოებდა. ეს მაშინ, როცა ზოგს არც კი ესმოდა ეს ენა.

დავიწყებული.

## გრიგოლ ვოლსკი

გუშინ ტფილისში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა გრიგოლ იოსების ძე ვოლსკი.

ამ მოულოდნელ ამბავს მწუხარებით მიეგებება მთელი ქართველი საზოგადოება, რომელიც კარგად იცნობდა პატიოსანსა და ჟანგარო ქართველ საზოგადო მოღვაწესა და მწერალს ვოლსკის.

განსვენებულს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ქართულ მწერლობის წინაშე. ცნობილია როგორც პოეტი (ფსევდ. უმწიფარიძე), ბევრი საკუთარი ლექსიც დაუწერია და ბევრიც მშვენივრად გადაუთარგმნია სხვა ენებიდან. სწერდა აგრეთვე პუბლიცისტურ წერილებს და სთარგმნიდა ქართულ სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებებს რუსულ ენაზე (ცნობილია მისი კარგი თარგმანი ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანისა", რომლის ნაწყვეტები დაიბეჭდა თუმანიშვილების „ნოვ. ობოზრ."-ში).

მეტად არა, გრიგოლ ვოლსკი ნაკლებ ცნობილი არ იყო როგორც საზოგადო მოღვაწე. ამისათვის მან თავი დაანება თავის სპეციალ საქმეს (ექიმობას) და ენერგიულად შეუდგა ბათუმის საქალაქო თვითმართველობაში მუშაობას. მის მეცადინეობისა

---

ბით. განსვენებულ იმპერატორ პავლეს ბრძანებით გამოგზავნილი გრენადერის ტუჩკოვის პოლკი სწორედ ამ დროს შემოვიდა საქართველოში და დაბანაკდა სურამსა, ცხინვალსა და გორში. ბატონიშვილებს ელდა ეცათ და იძულებულნი გახდნენ, თავიანთ განზრახვაზე ხელი აეღოთ და ჯარი დაეშალნათ. ბატონიშვილების იმედს სულ ცეცხლი და ნავთი გადესხა, როცა ტუჩკოვის პოლკს უკან მოჰყვა კიდევ ახალი პოლკი ლეონტიევისა და ყაზახთა ცხენოსანი ჯარი. ქართლ-კახეთში ეხლა იმდენი ჯარი იყო, რომ თავისუფლად შეეძლო პასუხი გაეცა ყველა მეზობელისათვის.

გამეფდა თუ არა ალექსანდრე, საქართველოდან მაშინვე თხოვნათხოვნაზე აფრინეს ტახტის მემკვიდრემ დავითმა და დედოფალმა დარეჯანმა. პირველი ითხოვდა საქართველოს მეფედ დამტკიცებას, რადგან იმპერატორმა პავლემ უკვე ტახტის მემკვიდრედ დამამტკიცაო. დარეჯანი კიდევ თხოულობდა, ასრულებულიყო ერეკლე მეფის ანდერძი, „დაგვიფარეთ იმ უსამართლობიდან,—სწერდა დედოფალი,— რომელიც ჩვენმა გერმა მეფე გიორგიმ მოგვაყენა და კეთილი ინებეთ დამტკიცება ჩვენის უფლებისა, განსვენებულ მეუღლის ჩემის ერეკლისაგან წერილობით ბოძებულისა". [5])

იმპერატორს არა სურდა არც ერთისა და არც მეორესათვის მიეცა უპირატესობა, ორივეს დაკმაყოფილება კი შეუძლებელი იყო, ამიტომ იმპერატორმა საქართველოს საკითხი ხელ-ახლა გადასცა სახელმწიფო საბჭოს განსახილველად. თვით იმპერატორი პირველ ხანებში წინააღმდეგი იყო საქართველოს შეერთებისა, მას მხარს უჭერდნენ ზოგიერთი გამოუცდელი ახალგაზდა სენატორები. საქართველო, როგორც ვიცით, იმპერატორ პავლესაგან უკვე შეერთებული იყო, მაგრამ, როგორცა სჩანდა, ეს არ იყო საკმაო და საქართველოს პოლიტიკურ თვით-არსებობის ბედ-იღბალი კიდევ დაიდო სასწორზედ, რათა ერთხელ და საუკუნოდ გადაწყვეტილიყო.

რადგან საქმე ისე იყო დაყენებული, რომ იმპერატორსა და ზოგიერთ სენატორებს სასურველად არ მიაჩნდათ საქართველოს სრული შეერთება, ამიტომ საკითხის გამოსაკვლევად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გენერალი კნორინგი გამოჰგზავნეს საქართველოში, რათა ადგილობრივ შეეკრიბა ცნობები და ამ ცნობებით წასულიყო პეტერბურგს და საბჭოსთვის მოეხსენებინა ყოველივე.

პეტერბურგის კაბინეტის მოწერილობისა გამო კნორინგი 15 მაისს მოზდოკიდან საქართველოსაკენ გამოემგზავრა. გენერალმა ლაზარევმა შეჰკრიბა და თავი მოუყარა ტფილისში საქართველოს დიდებულთ, რომელთა გამოკითხვიდან და ნათქვამიდან კნორინგს უნდა შეედგინა მოხსენება სახელმწიფო საბჭოსთვის.

ჩამოვიდა თუ არა კნორინგი, ბატონიშვილმა დავითმა მაშინვე მიჰმართა წერილით, რომელშიაც ამბობდა: განსვენებულმა მამა-ჩემმა მეფე გიორგიმ მიართვა თავისი სამეფო იმპერატორს პავლეს იმ განზრახვითა და პირობით, რომ მისი მემკვიდრე პირმშო შვილი ყოფილიყო კანონიერ მეფედ საქართველოს ტახტზე. ამასთან დავითი თხოულობდა ნებართვას, რათა ელჩები გაეგზავნა პეტერბურგს იმპერატორისათვის თხოვნის მისართმევად და დანამდვილებით გასაგებად, თუ რასა თხოულობდნენ და რას აკეთებდნენ აქნობამდის საქართველოს ელჩები პეტერბურგში.

სრული 27 დღე დაჰყო კნორინგმა საქართველოში, შეაგროვა ცნობები და მოაწეს-რიგა ზოგიერთი უსაჭიროესი საქმეები: ბატონიშვილ დავითის მიერ წართმეული მამული და ყმა უბრძანა ისევ დაებრუნებინათ ძველ პატრონთათვის და ისეთი საყოველთაო განკარგულება მოახდინა, რომ ყველაფერი იმავე მდგომარეობაში დარჩენილიყო, როგორც უკანასკნელის მეფის აღსრულების დროს იყო, ვიდრე ახალი განკარგულება მოვიდოდესო. ბატონიშვილის დავითისაგან და სხვათაგან ბოძებულს ბარათებსა და ქაღალდებს არავითარი ძალა არა აქვსო და გაბათილებულად უნდა ჩაითვალოსო. იულიონისა და სხვა გაქცეულ ბატონიშვილების ყმა და მამული ახალ მმართველობის ხელში უნდა გადასულიყო და შემოსავალი სახელმწიფოსი ყოფილიყო, ვიდრე ბატონიშვილები დაბრუნდებოდნენ. საჭიროდ დაინახა თვით ბატონიშვილი დავითი სრულიად მოეშორებინა საქართველოს გამგეობიდან და აუკრძალა რამე მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში. სამაგიეროდ, კნორინგმა ახალი მმართველობა დააწესა, რომლის თავმჯდომარედაც გენერალი ლაზარევი დანიშნა. სამმართველოში შედიოდნენ: ზაალ ბარათაშვილი, ეგნატე თუმანიშვილი, იოანე ჩოლოყაშვილი და მელიქი დარჩო ბებუთაშვილი.

15 ივნისს მოხსენებით დატვირთული კნორინგი უკვე ჩრდილოეთ კავკასიაში იყო და პეტერბურგში წასასვლელად ემზადებოდა. ბატონიშვილი დავითი კი, რომელიც დიდი ხანია დარწმუნებული იყო, რომ სამეფო გვირგვინი მას არასგზით არ ასცდებოდა, გალიაში მომწყვდეულს ფრინველსავით ხან აქეთ ეხეთქებოდა, ხან იქით და არ იცოდა, რა ექნა. კნორინგის ჩამოსვლამდის რამდენჯერმე სთხოვეს საქართველოს წარჩინებულმა პირებმა და ვიცეკანცლერმა სოლომონ ლეონიძემ, „ნუ იგვიანებ, მეფობა შენია და ისწრაფე გვირგვინის კურთხევაო." [6]) მაგრამ ბატონიშვილი თითქოს განგებ ჯიუტობდა, უცდიდა რუსეთიდან გამოგზავნას სამეფო რეგალიებსა, რომ შემდეგ ეკუთხებინა გვირგვინი. ეხლა კი არა თუ მეფობა ეცლებოდა ხელიდან, საქართველოს უბრალო გამგეობიდანაც კი სრულიად განდევნეს და ახალ სამმართველოს წევრადაც არ დანიშნეს. გარდა ამისა მის მაგიერ დარიგებული და ნაჩუქარი მამულები წაართვეს და ძველს პატრონებს გადასცეს და ის დამოკიდებულობა, რომელიც მის მცირე მომხრეებსა ჰქონდათ, სრულიად სწყდებოდა. განყენებული და გულმოსული ბატონიშვილი გააფრთებული ლომსავით მრისხანებდა კნორინგისა და ლაზარევისადმი, ლანძღვა-გინებით სავსე წერილებს უგზავნიდა თავისს ნაცნობ-მეგობრებსას და დახმარებასა სთხოვდა. სანიმუშოდ მოვიყვანთ ერთს წერილს, რომელშიც მეტად ცუდად იხსენიებს ბატონიშვილი ახალ მმართველობას. წერილი მიწერილია ბეგლარ ორბელიანთან, რომელიც მაშინ პეტერბურგს იყო.

„ოთხი გაიძვერა და ერთი ტუტუცი განაგებენ მთელს აქაურ ქვეყანას (ე. ი. საქართველოს). ამ ტუტუცმა ოთხი ჰარელი ლეკის ბიჭი დაიჭირა, სამაგიეროდ ლეკებმა ერთი ჯარისკაცი დაიჭირეს, ხელები დასჭრეს, ცხვირი მოათალეს და ისე გაუშვეს. ლაზარევი ყველა ამასა ჰმალავს. გარდა ამისა, რუსები სჩაგრავენ ყველას, ბაზარში ყველაფერს იტაცებენ და თავადიშვილებსა სცემენ. ეხლა რაღაც ბილეთები შემოიღეს და ვისაც ის არა აქვს, თავისთან არ იღებენ. თავადიშვილები ქუჩებში ჰყრიან უპატრონოდ. ივანეს (ბატონიშვილს) მისწერე, თუ ეკენისთვემდის ვერაფერს გახდით, საქმე საუკუნოდ წაგებული იქნება და საქართველო გუბერნიად დარჩება. უსათუოდ მისწერე, რომ გამოსცვალონ ეს ძაღლის შვილი".

ამგვარსავე წერილსა სწერდა ნიკო ონიკაშვილს, რომელიც მაშინ ბატონიშვილებთან იყო პეტერბურგში: „კნორინგი მოვიდა აქა, გამგებლობა ჩამომართვა, ლაზარევმა ამოირჩია ოთხი გაიძვერა და განაგებენ საქართველოს. ყველა საქმეს ისინი აწარმოებენ, მე კი ახლოსაც არ მიკარებენ... იგნატის (თუმანიშვილს) როგორ შეუძლიან საქართველოს გამგეობა? ნუ გძინავთ, უცადეთ საქმე გამოაგვაროთ"...

წინად რუსეთის თავგამოდებული მომხრე ბატონიშვილი, ეხლა მისი დაუძინებელი მტერი გახდა. იგი ყოველ მხრივ სცდილობდა ევნო რუსეთის მთავრობისათვის, სახელი გაეტეხნა ხალხის თვალში და იმის წინააღმდეგ აემხედრებინა.

როცა ბატონიშვილი დავით ასეთს ამბებში იყო, პეტერბურგის კაბინეტმა უკვე საბოლოოდ გადასწყვიტა საქართველოს ბედ-იღბალი. 1801 წელს თორმეტ ენკენისთვეს გამოსულ მანიფესტით საქართველო შეიერთა რუსეთმა, როგორც გუბერნია, მეფობა სრულიად მოსპო და სამეფო სახლობის შესახებ დაადგინა: „საქართველოში დაეტოვებინათ მარტო ის ბატონიშვილები, რომელნიც მშვიდის ხასიათით და ყოფაქცევით სანდონი იქნებოდნენ, მეზობელს ერებს არ ააჯანყებდნენ და უწესოებას არ მოახდენდნენ საქართველოში; დანარჩენნი კი ყველანი უნდა გაეგზავნათ რუსეთში, სადაც მათ საკმაო პენსია დაენიშნებოდათ".

ასე გადასწყდა საქართველოსი და ბატონიშვილების ბედი. საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა პეტერბურგის ქართველებზე და უფრო უარესი თვით საქართველოში ამგვარად საქართველოს ბედ-იღბლის გადაწყვეტამ. მეფობის მოსპობას არავინ მოელოდა, არც ერთი და არც მეორე მხარე, არც დავითი და არც იულონი, არც არავის მიუმართნია ძველად და ახლაც პეტერბურგის მთავრობისათვის ამ გვარის თხოვნით. თუმცა საქართველოში იყვნენ ზოგიერთნი მსურველნი მეფობის მოსპობისა და თვით ბატონიშვილი ვახტანგიც სწერდა ერთს დროს კნორინგს, რომ მოხარული ვიქნები, რომ მეფობა არავის ერგოსო, მაგრამ ვინ არ იცოდა ვახტანგის თვალთმაქცობა და პირფერობა, პირიქით, ვახტანგი ერთი პირველ მებრძოლთაგანი იყო საქართველოში მეფობის შენარჩუნებისათვის. ზოგიერთ კერძო პირთა სურვილი კიდევ წარმოსდგებოდა კერძო უკმაყოფილებიდან ბატონიშვილს დავითზე.

უკმაყოფილებამ კიდევ უფრო იმატა, როცა გამოირკვა, რომ პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილებს, არა თუ გამოუშვებდნენ საქართველოში, დანარჩენთაც ეხლავე მოსთხოვდნენ რუსეთში წასვლას. მანიფესტის გამოცხადებისათანავე, უკმაყოფილებით სავსე ბატონიშვილებმა მირიანმა, იოანემ, მიხეილმა და ბაქარმა მოინდომეს სამშობლოში დაბრუნება. სახელმწიფო საბჭომ, რომლის განსახილველადაც შეტანილი იყო ეს საკითხი, არა თუ შეიწყნარა ბატონიშვილების თხოვნა, პირიქით, დაადგინა არას გზით არ გაუშვას, დასტოვოს რუსეთში და დაუნიშნოს თითო მათგანს წელიწადში საცხოვრებლად 10,000 მანეთი პენსიად და ნება მისცეს ცხოვრებისა შემდეგს ქალაქში, რომელშიაც ისინი მოისურვებდნენ: კიევში, კალუგაში, კურსკში, ვორონეჟში, ხარკოვში, ასტრახანში. ბატონიშვილების მხლებელთ კი ნება დართეს დარჩენილიყვნენ რუსეთში, ან წამოსულიყვნენ საქართველოში. უკანასკნელ შემთხვევაში გზის ხარჯი მიეცემოდათ. საქართველოში მყოფ ბატონიშვილების შესახებ კი საბჭომ დაადგინა, რაც შეიძლება ჩქარა გადაესახლებინათ რუსეთში.

ზ. ედილი.

(შემდეგი იქნება)

[5]) „Архивъ Мин. внут. дѣлъ. Дѣла Грузiи", кн. I.

[6]) იხ. „ცხოვრება მეფის გიორგის მეცამეტისა", პლ. იოსელიანისა.

და მხნეობით ბათუმის საქალაქო საქმე პროგრესიულ ჯგუფს ჩაუვარდა ხელში, რის გამო ვოლსკის დიდი ბრძოლა დასჭირდა პალმისა და გრიელსკის შავრაზმელ კამპანიასთან. რამდენიმე წელიწადი გამგეობის წევრად იყო, მაგრამ ბოლოს, ადმინისტრაციასთან უსიამოვნების გამო, თავი დაანება.

განსვენებული გარდა ამისა ყოველ ქართულ საზოგადო საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. იყო ენერგიული წევრი ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა და როგორც წევრი ბათუმის ადგილობრივ სასკოლო კომიტეტისა დიდ სამსახურს უწევდა საზოგადოებას.

როგორც კარგი მცოდნე ქართულის ენისა და ლიტერატურისა განსვენებული შარშან მოწვეული იყო მასწავლებლად ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიაში და სიკვდილამდე მასწავლებლობდა.

როგორც ადამიანი, განსვენებული მეტად კეთილშობილი და სიმპატიური იყო; ყველა პატივსა სცემდა და თანაუგრძნობდა. ჯერ 50 წლისა არც იყო და ძალღონით სავსეს კიდევ შეეძლო სამსახური თავის საყვარელ სამშობლოსათვის. ამიტომ, მთელს ჩვენს საზოგადოებაში მძიმე მწუხარებას გამოიწვევს უდროო დაკარგვა გულწრფელის, უანგარო, მხნე და პატიოსან მუშაკისა. საუკუნოდ იყოს მისი ხსენება!

## სპარსეთი

**სათარ-ხანი.**

გაზ. „იველრიას" ატყობინებენ: „ხმა გავრცელდა, რომ რევოლიუციონერებმა სათარ-ხანი მოკლეს. ...

**სახელმწიფო განტის გაყიდვა.**

...

## შორეულ აღმოსავლეთში

**ომის მოლოდინი.**

...

**ჩინეთის ჯარი.**

...

36 კორპუსი ჯარი ექვსს ჭრაზედ ...

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ...

...

**სახალხო თეატრი.** ...

...

**6. შ. გაზეთის-ტაბაკოს სადგური.** ...

...

**ახალი პიესა.** ...

**კონცერტი სახალხო სახლში.** ...

## რუსეთი

**• ბაჩ. უვა.** ...

**• ბუნებაში.** ...

**• ქუთაისი.** ...

**• ბილეთების მიღების წესი.** ...

...

**• ხელოვნების გადასახადი.** ...

**• პირმეტყველი.** ...

**• სამხრეთში მიჯუბება.** ...

**• ახალი გუმაშის ბარგი.** ...

**• გაზეთები.** ...

**• სახელმწიფო დეპუტატების არჩევნების შედეგი.** ...

**• სოკარტელი დასკვა.** ...

## წერილი რედ. მიმართ

...

## განცხადებანი

კბილის ექიმი

**დოქტ. ნავასარდიანცი**

დაარსებულია 1880 წელს.

(გოლოვინის პროსპ. 3)

...

სომხური ნერსესიანის სახელ. სემინარიის შენობის ადმინისტრაციის

**კომისია**

ამით აცხადებს, რომ 20 ოქტომბრის ... (2—1020)

მაღაზია

**ნ. თ. ჩეკმარიოვი**

... (5—4)